რედაქცია

სიმონსიანოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალს 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსიანოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) — — | 9 მან. | 6 თვით — — | 5 მან. |
| 11 თვით — — | 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — | 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — | 8 მან. | 4 თვით — — | 4 მან. |
| 9 თვით — — | 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — | 3 მან. |
| 8 თვით — — | 7 მან. | 2 თვით — — | 2 მან. |
| 7 თვით — — | 6 მან. | 1 თვით — — | 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

კნეინა ანასტასია ლუარსაბის ასული, ანნა მსტატეს ასული და გენერალ-ლეიტენანტი თავადი ივანე გივის-ძე ამილახვარი გულითადის მწუხარებით აცნობებენ პირველი თავის შვილის, მეორე თავის ქმრის და მესამე თავის ძმის თავადი მიხეილ გივის-ძის ამილახვრის გარდაცვალებას 15 დეკემბერს ს. ჭალას, და სთხოვენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს მობძანდენ განსვენებულის ცხედრის გამოსასვენებლად ს. ჭალიდამ ხამთავისის სობოროში, 19 ამ თვეს, ორშაბათს, დილის 11 საათზე. (2—1)

## «იურიდიულ მიმოხილვის» აზრი ჯარის მოკრეფაზე ჩვენში.

თბილისი, 17 დეკემბერს.

ჩვენს ქვეყანას ცვლილება მოელის... რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებთან ერთად იგი ვალდებული იქნება გამოაწყოს რაზმი თავის შვილთა გარეული და შინაური მტრისაგან სახელმწიფოს დასაცველად. ეხლა მხოლოდ მოლაპარაკებაა იმაზედ, თუ ეს საქმე საუკეთესოდ როგორ მოგვარდეს. ჟურნალი «იურიდიული მიმოხილვა» რამდენსამე აზრს წარმოსთქვამს ამ საგნის შესახებ, რომელთაც საჭიროდ ვხადით ჩვენს მკითხველებსაც შევატყობინოთ.

«იურიდიული მიმოხილვა» ამბობს: როგორც ყოველისფერში, ისე ამ შემთხვევაში უნდა ხელმძღვანელობდენ იმ აზრით, რომ ესრეთის ცვლილების დროს ხალხს, რაც კი შეიძლება, ნაკლებად ედვას ეს სამსახური და რაც კი შეიძლება ნაკლებად შეისაზღვროს მისი თავისუფლებაო. ამის გამოისობით ერთს ნაწილს ხალხისას სხვებზე მეტი თარხნობა არ უნდა ჰქონდეს და ყველა წოდებანი ვალდებულნი უნდა იყვნენ ეს სამსახური გაუწიონ სახელმწიფოს; თუ კი ერთნი პირადად იხდიან ამ ვალს, სხვათ არ უნდა შეეძლოთ ფულის შეტანით თავი შეისყიდონო.

მაგრამ ეს ძირითადი კანონი იმას არ ამბობს, რომ თუ კი ჩრდილოეთის შვილს სამხრეთის გარნიზონებში ჰგზავნიან, სამხრეთის შვილი მამულს მოაშორონ და ჩრდილოეთის გარნიზონებში გაგზავნონო. პირველი კი ადვილად აიტანს სამხრეთის ჰავას, მაგრამ მეორესათვის ჩრდილოეთის ჰავა შეიძლება მავნებელათ შეიქმნასო. ამას გარდა სახელმწიფოს ის უნდა, რომ ერთგული და გულადი მეომარი ჯარი ჰყავდესო და კავკასიის მთების შვილნი უფრო კარგი მეომარნი იქნებიან, თუ სალდათებთან ერთად არ იქნებიან არეულ-დარეულნი. თავის ამხანაგებ შორის კი გულადიც იქნება, ერთგულიც თავის საქმისა, ამხანაგის გამტანიც. ამ ჭეშმარიტებას ყაზახების «ლავის» დაწყობილებაც ამტკიცებს, რომელნიც ამ დაწყობილების წყალობით ჩინებულად უსრულებენ სახელმწიფოს სამხედრო სამსახურსაო. ზემოხსენებულ ჟურნალის აზრით, კავკასიის მთიელებიც თუ ყაზახებსავით მოეწყვნენ სამსახურში, მშვენიერს ქვეითა და ცხენოსანს ჯარს შეადგენენო. მთებში საომრად სახელმწიფო მათზედ უკეთესს ჯარს ვერ იშოვისო.

ამის შემდეგ ჟურნალი ამბობს:

«დროების» ფელეტონი, 17 დეკემბ.

## სიკვდილი ოლივიე ბეკაილისა

(მოთხრობა ემილ ზოლასი)

(შემდეგი*)

### III

მე არ შემიძლიან გამოვთქვა, როგორი იყო ჩემი ტანჯვა მეორე დღის დილას. ეს ყოველიფერი დარჩა ჩემს მახსოვრობაში, როგორც საშინელი სიზმარი, რომელშიაც ჩემნი გრძნობანი ისე გასაოცარნი და ისე არეულ-დარეულნი იყვნენ, რომ მე არც კი შემიძლიან იგინი გარკვევით გამოვხატო. მახსოვს მხოლოდ, რომ გამოღვიძების იმედი კიდევ უფრო აძლიერებდა ჩემს უმისოთაც საშინელ ტანჯვას, და რაც უფრო ახლოვდებოდა დასაფლავების ჟამი, მით უფრო შიში სულს მიხუთავდა და გამოუთქმელად მაწვალებდა.

გათენებისას შევატყე, რომ ჩემს გარშემო ხალხი და სხვა და სხვა საგნები იყო. ფანჯრის ჭრაჭუნმა თვლემისაგან გამომარკვია. ბაბენმა ფანჯარა გააღო. უნდა მეშვიდე საათი ყოფილიყო, რადგანაც მე მესმოდა ქუჩიდამ სხვა-და-სხვა ვაჭრების ხმაურობა და, სხვათა შორის, პატარა გოგონას ყვირილი, რომელიც იაღონის საჭმელ თესლს ჰყიდდა. მეორე დამტვრეული ხმა სტაფილოს გაიძახოდა. პარიჟის ამ ხმიანმა გამოღვიძებამ პირველ წამებში დამამშვიდა. მე ვფიქრობდი,—შეუძლებელია ჩამმარხონ მიწაში, როდესაც ირგვლივ ცხოვრების ამგვარი ხმაურობა გაისმის-მეთქი. ერთმა მოგონებამ სრულიად დამაიმედა. მე გამახსენდა, რომ გერანდის საავადმყოფოში სამსახურის დროს მე ვნახე ერთი შემთხვევა, რომელიც ჩემს ეხლანდელ მდგომარეობას ჩამოგავდა. ერთს ვიღაცა კაცს ოც-და-რვა საათის განმავლობაში ეძინა და მისი ძილი ისე ღრმა იყო, რომ ექიმები ვერც კი ბედავდენ თავიანთ აზრის გამოთქმას; მერმე იმ კაცმა წამოიხედა, დაჯდა და ცოტა ხნის შემდეგ სრულებით ფეხზე წამოდგა. მე კი სულ ოც-და-ხუთი საათი მეძინა.

თუ ათ საათამდის გამომეღვიძა, კიდევ გვიან არ იქნება. მე ვცდილობდი მიმეცა ჩემი თავისთვის ანგარიში მასში, თუ ვინ იყო ოთახში და რა ჰხდებოდა ჩემს გარეშემო. პატარა დედე უსათუოდ თამაშობდა კიბეზე, მისთვის რომ კარი გაიღო და ბავშვის სიცილი შემოისმა გარედამ. სიმონო კი არ იყო, მგონი, აქ; არაფითარი ხმაურობა არ ამტკიცებდა მის აქ მყოფობას, მხოლოდ ბაბენის ძველი ჩუსტები დაფრატუნებდენ იატაკზე. ბოლოს ლაპარაკიც მოისმა.

— ჩემო კარგო, სთქვა ბებერმა, უნდა, სანამ ცხელია, დალიოთ; ძალას მოგცემთ მაინც.

ის ეუბნებოდა ამას მარგარიტას და წელი შრიალი საყავეში, ბუხარზე, ამტკიცებდა, რომ ყავას ამზადებდენ.

— როგორც გნებავთ. ჩემთვის კი ეს ძლიერ საჭირო იყო... ჩემს ხანში ღამის ტეხა როდია კარგი. ღამე ხომ ძალიან მძიმე ასატანია, როცა სახლში უბედურებაა... დალიეთ ყავა, ჩემო კარგო, ორიოდ წვეთი მაინც.

ამ სიტყვებით მან დაუდგა მარგარიტას ერთი ფინჯანი ყავა.

— აბა, როგორია? თბილი სასმელი ძალიან სასარგებლოა და თქვენთვის საჭიროა მოღონიერდეთ, რომ მშვიდობით მორჩეთ დღევანდელ დღეს... ეხლა რომ გამიგონებდეთ, წახვიდოდით ჩემს ოთახში და იქ მოიცდიდეთ...

— არა, მე მინდა აქ დავრჩე, დაბეჯითებით უპასუხა მარგარიტამ. მისმა ხმამ, რომელიც მე არ გამიგონია გუშინდელ დღიდამ, მეტის-მეტად ამიჩრჩვილა გული. იგი გამოცვლილიყო და მორბილებულიყო მწუხარებისაგან. ოხ, ჩემო ძვირფასო! მე ვგრძნობდი, რომ იგი ჩემს ახლო იყო და მარტო ეს მანუგეშებდა, რომ მე ვიცოდი, იგი არ მაცილებდა თვალებს, რომ სტიროდა ჩემზე წრფელი გულით. მაგრამ წამები მირბოდენ. კარებიდამ მომესმა რაღაც ხრიგინი, რომელიც ჯერ ვერ გავიგე, რას ნიშნავდა: თითქო რაღაც მძიმე შემოჰქონდათ, რომელიც კიბის მეტის-მეტად ვიწრო კედლებს ეჯახებოდა. მერე, როდესაც მომესმა ხელ-ახლავ მარგარიტას ტირილი, შევატყე, რომ ეს კუბო იყო.

— თქვენ მეტის-მეტად აჩქარებულხართ,—სთქვა ბაბენმა უკმაყოფილოდ. დადგით აი იქ, კრაოტს იქით.

ნეტა რომელი საათი უნდა ყოფილიყო? უსათუოდ მეცხრე იქნებოდა. კუბო აქვე იდგა და მე ვხედავდი მას თითქო ღამის სიბნელეში; ის იყო სრულიად ახალი, ცუდად გაშალაშინებული ფიცრებით. ღმერთო ჩემო! ნუთუ ყოველიფერი გათავდა? ნუთუ მე წამიღებენ მალე ამ ვეება ყუთში, რომელსაც მე ჩემს ფეხითაა ვგრძნობდი.

ამ მწუხარების დროს, მე მხვდა წილად ერთი უკანასკნელი სიხარული. მიუხედველად იმისა, რომ მარგარიტა

*) იხ. «დროება» № 249.

«რადგან კავკასიის ხალხის ჯარი დრუ-ჟინებათ უნდა შესდგეს იმ ადგილე-ბის ახლო, საიდამაც იგი მოკრეფი-ლია და რადგან იარაღი და ტანისა-მოსი ადგილობრივი უნდა ჰქონდეს, ამის გამო საუკეთესო იქნება, რო-გორც იარაღის, ისე ტანისამოსის მი-ცემა ჯარისათვის აქაურსავე საზოგა-დოებათ აკისრებინონ ჯეროვანის ფასის მიცემითაო. ეს ცხოველი კავ-შირი ჯარსა და ხალხს შუა იმის სა-ბუთი იქნება, რომ სახელმწიფოს და-საცველად გასულს მამულის შვილთ უკეთესი იარაღიც ექნებათ და უკე-თესი ტანთსაცმელიც, ვიდრე მაშინ, თუ ამ საჭიროების დაკმაყოფილებას ინტენდანტებს მიანდობენო.

ეს აზრები «იურიდიულ მიმოხილ-ვისა» ფრიად საფუძვლიანად მიგვაჩ-ნია და არ შეიძლება ორივე ხელით არ მოაწეროს, ვისაც კი დედა-აზრად ესა აქეს: «ხალხს, რაც კი შეიძლება ნაკლებად დააწვეს ეს ტვირთი და რაც კი შეიძლება ნაკლებად შეი-საზღვროს მისი უფლება».

## შინაური ქრონიკა

Ამას წინად ვაცნობებდით ჩვენს მკითხველებს, რომ თ. გიორგი დი-მიტრის ძე შარვაშიძე ტფილისის გუ-ბერნიის ვიცე-გუბერნატორად დაი-ნიშნებაო. ეს ხმა მართალი გამოდ-გა და თ. შარვაშიძემ ამ დღეებში მიიღო კიდეც ეს ადგილი.

Არა ერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთში ლაპარაკი, რომ ესა და ეს მომრიგებელი მოსამართლე ცუდად ეკიდება თავის მოვალეობას და ხალხს თუმცა 9 საათისათვის იბარებს, თვი-თონ 12—1 საათზე არ გამოცხად-დებაო. ეტყობა, რომ ეს წესი მომ-რიგებელ მოსამართლეთ კანონად დაუდვიათ და, ალბად, თავიანთ მნიშ-ვნელობის გასაზვიადებლად საჭიროდ რაცხვენ მოჩივრები ოთხი და ხუთი საათი მშიერ-მწყურვალნი სიცივეში ალოდინონ. ეს სენი ახალ-სენაკის მომრიგებელ-მოსამართლესაც გადას-დებია და იმის შესახებაც კორეს-პონდენტი «იურიდიულ მიმოხილვას» სტერეოტიპულს ფრაზასა სწერს: აქაუ-რი მოსამართლე ხალხს 9 საათზე იბარებს და თითონ 12—1 საათზე ადრე არ გამოცხადდებაო. ხალხს რომ ლოდინით გული ელევა, მიდის შინ და საქმეს ალალ-ბედზედა სტო-ვებსო. საჭიროდ ვრაცხთ მომრიგებელ-მოსამართლეთ ჩვენც სტერეოტიპუ-ლი ფრაზა გავუმეოროთ, რომ «ისი-ნი ხალხისათვის არიან დანიშნულნი და არა ხალხი მათთვის».

Დიდი ხანი არ არის, რაც ქა-ლაქის საბჭომ განიზრახა ადრესის სტოლის დაარსება თბილისში; ამ გან-ზრახვისათვის სხვა-და-სხვა ფერი ბი-ლეთები დაარიგებინა სადგურებში ცნობების ჩასაწერად და ფასიც გა-მოართმევინა ამ ბილეთებში. ეს გან-კარგულება ქალაქის საბჭოსი მაშინ-დელმა მთავარ-მმართებელმა უკა-ნონოდ იცნო და გააუქმა. ქალაქის თავმა ამ საგანზედ საჩივარი შეიტანა სენატში და სენატს, როგორც შე-ვიტყვეთ, გადაუწყვეტია, თუ ეხლან-დელი მთავარ-მმართებელი იცნობს ადრესის სტოლის საჭიროებას, გა-დასცეს ამ სტოლის წესები ქალაქის საბჭოს განსახილველათაო. რაც შე-ეხება ქალაქის თავის საჩივარს იმ სა-განზე, რომ ქალაქის მცხოვრებლებს ქალაქის გამგეობამ უნდა დაუბრუ-ნოს უკანონოდ გადახდევინილი ფუ-ლი,—ეს საჩივარი სენატს საყურა-დღებოდ არ მიუღია.

«Კავკაზის» რედაქტორსავით სასტუმრო «ემპერიალის» პატრონს ბათუმში, ბ. ომეცენტერს, გაუმართავს ტანცაობის საღამო სასტუმროს გახს-ნის გამო და შეგროვილი ფული 225 მან. ბათუმის ქალების სკოლისათვის შეუწირავს, რისათვისაც სამზრუნველო რჩევას ამ სკოლისას მადლობა უძლვ-ნია ბ. ომენცეტერისათვის. სანაქე-ბოა ესეთი ქველ-მოქმედება როგორც «კავკაზის» რედაქტორისა, ისე ბ. ომენცეტერისა, მხოლოდ უნდა კი ვთქვათ, რომ ქება და მადლობა ცო-ტა ღირსების კვალობაზედ არ არის განაწილებული. სასტუმროს პატრონს, რომელიც იქნება სრულიად გაუნათ-ლებელი კაცია, უფრო მეტი ქება ეკუთვნოდა ამ გვარის განათლები-სადმი თანაგრძნობისათვის, ვიდრე ოფიციალური გაზეთის რედაქტორს, მაგრამ ისე კი მოხდა, რომ სასტუმ-როს პატრონმა ბ. ომენცეტერმა მხოლოდ სამზრუნველო რჩევისაგან მიიღო ეს ქება და «კავკაზის» პატ-რონმა თ. დავით ერისთავმა კი მიიღო ქება, როგორც სამზრუნველო რჩე-ვისაგან, ისე თვით «კავკაზის» რედაქ-ციისაგან.

Სიღნაღიდამ გვწერენ: «შემ-თხვევით მომიხდა სიღნაღის სომ-ხის სკოლის დათვალიერება. ამ ორი წლის წინად მისი მდგომა-რეობა საეჭვო იყო, რადგან მზრუნ-ველები არავითარს ყურადღებას არ აქცევდენ. დღეს ახალი მზრუნველის მ. ტერ-ილიმას მეცადინეობით ძლიერ წინ მიდის. ვაჟების სკოლასთან გა-იხსნა ქალების სკოლაც. თუმცა ქა-ლების განყოფილება წინადაც იყო, მაგრამ მისი ყოფნა არ-ყოფნასა ჰგავ-და, რადგან მასწავლებელი ქალები ნამდვილი მასწავლებელი არა ბძან-დებოდენ. წარმოიდგინე, მკითხველო, მასწავლებელი და ბურნუთის წევა. როცა მასალა შემოაკლდებოდათ ბურ-ნუთს შეექციოდენ პედაგოგიაში კოჭ-ლობის დასაფარავად. ახლა კი მ. ტერ-ილიმას მეცადინეობით ქალებს ახალ სისტემაზედ აღზდილი მასწავლებელი ქალი ეღირსათ. სკოლის თავის ნია-დაგზედ დაყენების გარდა, მზრუნვე-ლი ცდილობს, რადგან სიღნაღის ქართველ ქალებს სასწავლებელი ვერ ეღირსა, სომხის ქალების სასწავლე-ბელში ქართული ენაც შეიტანოს და

---

ძლიერ დაღალული იყო, მან მოიმ-დომა უკანასკნელად ჩემი პატი-ვისცემა. ბებრის დახმარებით ჩამაცვა ტანისამოსი. Ამას იგი ისე ჩადიოდა, როგორც და, როგორც მეუღლე. მე ვგრძნობდი ჩემს თავს უკანასკნე-ლად მისს საფარ ქვეშ. ჩვენ ვეხებოდით ერთი მეორეს, როდესაც იგი მაც-მევდა რასმეს ჩემ ტანისამოსთაგანს. Იგი ხშირად ჩერდებოდა, დაღალუ-ლი მღელვარებისაგან; ხან-და-ხან მი-მიკრავდა კიდეც გულზე და მასვე-ლებდა ცრემლებით. მეც მსურდა, რომ ჩამეკრა იგი გულში და დამე-ყვირა ხმა-მაღლა: «ცოცხალი ვარ»-მეთქი. მაგრამ მე უღონოდ ვიყავ და ვგრძნობდი ჩემს თავს სხვის ხელში, როგორც ერთი უძრავი რამე.

— რისთვის აცმევთ ამაებს, ხომ ტყუილა-უბრალოდ დაიკარგება ეს ყოველიფერი,—იმეორებდა ბაბენი.

მარგარიტა უპასუხებდა ტირილის ხმით:

— დამეხსენით, მე მინდა ჩავაცვა, რაც კი რამ საუკეთესო მაქვს.

მე მივხვდი, რომ იგი მაწყობდა მე ისე, როგორც ჩვენი ქორწილის დღეს ვიყავი ჩაცმული. მე შენახული მქონ-და ეს ტანსაცმელი რაიმე სადღესას-წაულო შემთხვევისთვის პარიჟში. რაკი გაათავა ჩაცმა, დაღალული მარ-გარიტა კვლავ ჩაჯდა სავარძელში. Ამ დროს უეცრად დაიწყო ლაპარა-კი სიმონომ. Ის უსათუოდ ის იყო შემოვიდა ოთახში.

— ძირს არიან ყველანი,—ჩურჩუ-ლობდა იგი.

— ძალიან კარგი, დიდი ხანია, დროა,—უპასუხა ბაბენმა ხმა-დაბლა. Უთხარით, აქ ამოვიდენ და მოვრჩეთ ჩვენს საქმეს.

— მე მეშინიან ეს საბრალო ქა-ლი არ შეწუხდეს.

ბებერი ჯერ თითქო ჩაფიქრდა და ბოლოს უთხრა სიმონოს:

— გამიგონეთ, ბ. სიმონო,—გაიყ-ვანეთ ის ძალით ჩემს ოთახში... მე არა მსურს, რომ იგი დარჩეს აქ. ეს უფრო კარგია მისთვის... ჩვენ კი მერე ერთ წამში გავათავებთ ყო-ველიფერს.

ეს სიტყვები ლახვარივით მეცა გულში. ღმერთო, რა ცეცხლი მწვავ-და, როდესაც მომესმა ეს საშინელი ამბავი. სიმონო მივიდა მარგარიტას-თან და სთხოვა, ნუ დარჩებით ოთახ-შიო.

— თუ ღმერთი გწამთ,—ეხვეწებო-და იგი,—გავიდეთ აქედამ. სასიამოვ-ნოა ხელ-ახლად ტყუილა-უბრალოდ ტანჯვა და მწუხარება?

— არა, არა,—უპასუხებდა ჩემი ცოლი,—მე აქ დავრჩები, მე მინდა ვიყო აქ მასთან უკანასკნელ წამამ-დის. მე მარტო ისა მყავდა ქვეყანა-ზე; როდესაც მას წაიღებენ, მე სულ მარტოდ-მარტო დავრჩები.

ბაბენი კი კრაოტთან ეჩურჩულე-ბოდა ყურში ყმაწვილ-კაცს.

— რას უყურებ, აბა, მოხვიე ხელი და გაიტანე ისე გარეთ.

ნუთუ სიმონო მართლა აგრე მო-იქცევა და გაიტანს ხელით მარგარი-ტას? სწორედ ამ დროს მარგარიტამ დაიყვირა. მე მყისვე ავინთე სიბრა-ზით და მოვინდომე წამოვარდნა ზე-ზე. მაგრამ ჩემი სხეული იდვა უსი-ცოცხლოდ; ისე ვიყავი გაშეშებული, რომ არც კი შემეძლო გამეხილა თვალები და დამენახა—თუ რა ჰხდე-ბოდა ჩემს წინ. ბრძოლა გაგრძელ-და. ჩემი ცოლი ეტანებოდა მებელს და ხვეწნით იმეორებდა:

— ოჰ, თუ ღმერთი გწამთ, თუ ღმერთი გწამთ... დამეხსენით, მე აქ მინდა ვიყო.

სიმონომ უსათუოდ მოხვია მარგა-რიტას თავისი მძლავრი ხელები, რად-განაც უკანასკნელი ეხლა მხოლოდ ეხვეწებოდა მას, როგორც ბავში. მან წაიღო იგი, ასე რომ აღარ ის-მოდა მარგარიტას ხვეწნა-ტირილი და წარმოვიდგინე,—როგორ მიჰქონდა დიდს და ძლიერს სიმონოს გულზე მიხუტული ჩემი მარგარიტა,—თვალ-ცრემლიანი, დაქანცული უსიტყვოდ მიმყოლი ყოველგან, სადაც კი მო-ინდომებდა მის წაყვანას სიმონო.

— არ მეგონა, თუ ასე გაგვაწვა-ლებდა,—სთქვა ბაბენმა.—აბა, რა-ღას უყურებთ, დროც არის!

Იჭვიანობისაგან ბრაზ-მორეული, თითქმის ჭკუა-შეშლილი, მე ვთვლი-დი ყოველისფერს, რაც მოხდა ჩემს წინ საზიზღარ ძალდატანებით. გუ-შინდელი დღიდამ მე არ მინახავს მარგარიტა, მაგრამ მაინც მესმოდა მისი ხმა და ეხლა კი—გათავდა ყო-ველისფერი: მე მომპარეს იგი. მამა-კაცმა მოხვია მას ხელი უფრო ადრე, ვიდრე მიწას ჩამაბარებდენ. ქედელს იქით ის იყო მასთან ერთად, მარ-ტოდ-მარტო; ის ანუგეშებდა მას და—ვინ იცის?—ეგება ჰკოცნიდა კი-დეც!

Კარი კვლავ გაიღო. მძიმე ფეხის ხმა მოისმა ოთახში.

— მალე, მალე,—იმეორებდა ბა-ბენი,—თორემ ის ქალი კიდევ შე-მოირბენს, მე ვიცი.

Ის ელაპარაკებოდა ვიღაც უცხო კაცებს და ეს უკანასკნელებიც პა-სუხს უგებდენ რაღაც ბუტბუტით.

— მე, იცით, მათი ნათესავიც არა ვარ სრულიად, მე მხოლოდ მეზო-ბელი ვარ, მეტი არაფერი. მე აქ, აბა, რა მჭირს თავი შევაწყინო! მაგ-რამ ეს ყოველისფერი სულ გულ-კეთილობით მომდის. მართალი უნ-და მოგახსენოთ, არაფერი სასიამოვ-ნოა ეს ამბავი. Დიახ, მთელი ღამე თითქმის თვალი არ მომიხუჭავს. მე-რე ოთხ საათზე ისე ციოდა, რომ თქვენი მოწონებული. მაგრამ, რა ვქნა აბა, მითხარით ერთი. მე მეტის-მეტად სულელი და გულკეთილი ვყოფილვარ ყოველთვის.

Აქ კუბო გამოათრიეს ოთახ-შუა და მე ყოველისფერი კარგად გავიგე: ჩემი საქმე გადაწყვეტილია, თუ არ გამომეღვიძა როგორმე. Აზრები რა-

ქართველი ქალებიც მიიღონ. ღმერთმა ინებოს მისი სურვილი აღსრულდეს. ვეცდები შემდეგისთვის მკითხველს ამ სასწავლებელზე დაწვრილებით მოველაპარაკო.»

≈ «კასპიი» გვატყობინებს, რომ ბექათუბანსა და ფონს შუა ახალის სტანციის გაკეთებას შესდგომიან, რომელსაც ციპა ერქმევა.

≈ «Рускій курьеръ»-ს შეუტყვია, რომ მომავალს 1884-ს წელს შეუდგებიან საქართველოს ისტორიის და არხეოლოგიის ნაშთების საფუძვლიანად გამოკვლევას და შესწავლას იერუსალიმში, სინაიზე, ათონზე და კონსტანტინეპოლეში. ხელმძღვანელობა ამ საქმეში მიენდობა მართლმადიდებელ მისსიის უფროსს იერუსალიმში.

≈ ქალაქი ანაპის მცხოვრებთ უთხოვნიათ ფინანსთა და შინაურ საქმეთა სამინისტროებისათვის ეკატერინოდარის და ნოვოროსიისკის შუა ახალი რკინის გზის მიმართულების შეცვლა; ანაპელები თხოულობენ, რომ ეს გზა ანაპას არ ასცდინონ.

## «დროების» კორესპონდენცია.

—

**სიღნაღი, 10 დეკემბერს.** კახეთში, საითაც გაიხედავთ, ყველასგან გესმით ერთი და იგივე ანდაზა: «როგორც ალხანა, ისეთი ჩალხანაო». პირველად ჩემთვის გაუგებარი იყო, თუ რა აიძულებს ამ ხალხს, რომ ყოველ საზოგადო საქმეზედ ლაპარაკს უთუოდ ამ საკვირველი ანდაზით ათავებს. მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, შევიტყე ამისი საიდუმლო. იქნება მკითხველი არ დამემდუროს, რომ გავუზიარო მას ამ საიდუმლოს ახსნა...

როგორც ყველა ჩვენებურ წვრილმან ქალაქებში, აგრეთვე სიღნაღშიაც პირველი ადგილი უჭირავს აქაურ ჩინოვნიკობას, იგი შეადგენს ქალაქის უმთავრესს ბურჯს, ამის «ინტელიგენციას», და როგორც ყველგან, ისე აქაც ეს ჩინოვნიკობა ჭრელია. უფრო ხშირად წააწყდებით უკვე ნაცნობის სკვოზნიკ-დმუხანოვსკის იაზმით ნაკურთხს მოხელეებს, თავიანთ აუცილებელი დერჟიმორდებით; აქვე გახლავან დაუვიწყარი ფამუსოვები, რომელთაც ასე ლაზათიანად ამშვენებენ მეტად წყნარნი, გულ-გათილნი მოლჩალინები... ამას რომ დავუმატოთ კარგა მოზდილი რიცხვი მოქალაქეთა ბობჩინსკ—დობჩინსკებისა, რომელნიც ყველგან შეადგენენ ზემოთ დასახელებული გმირების ამალას, თქვენ ადვილად წარმოიდგენთ ვრცელ სურათს სიღნაღის «ინტელიგენციისას».

ეს გახლავთ «ალხანა», ანუ პირველი ნაწილი ზემოთ ნათქვამი ანდაზისა. თუ ასეთი «ალხანაა», მაშ «ჩალხანაც» უნდა შეეფერებოდეს მას. და, მართლაც, «ჩალხანა», ე. ი. ანდაზის მეორე ნაწილი სწორედ ზედ-გამოჭრილია ჩამოთვლილ ღირსებაზედ. დიდი მებნა არ დაგვჭირდება.

ღმერთმა რომ გააჩინა კაცი, აკურთხა და უთხრა: «იმუშავე კვირაში ექვსი დღე, ოფლითა შენითა სჭამე პური და მეშვიდე დღეს კი განისვენე და ემსახურე უფალსა შენსა ზეციერსაო». ხსენებული მოხელენიც მტკიცედ აღასრულებენ ამა მცნებას, მხოლოდ ზედ დაუმატებიათ მშვენიერი თვისება—ურთიერთა-შორის მეგობრობა, ერთობა. ისინი მთელი კვირის განმავლობაში იწურავენ შუბლზედ ოფლსა, შრომობენ, მუყაითობენ... და კვირის ბოლოს ყველა მათგანი მოვალეა შეიტანოს საამხანაგო კასსაში ყოველივე თავისთავად მოპოებული...

იმართება საზოგადო სადილი, რომელზედაც მოიყრის ხოლმე თავს მთელი აქაური «ინტელიგენცია», და ასრეთ, კვირა დღე ხდება დღედ შესვენებისა და თანაც ზეციური სამსახურისა... ხშირად ეს ციური სამსახური გადადის მუშტის კრივში, და მოხელეთა წვრილი «ტროსტები» იმტვრევიან მათსავე ზურგებზედ, როგორათაც ამ მოკლე დროშიაც მოხდა.

მოდი და ნუ გაიგებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ანდაზას—«როგორც ალხანა, ისეთი ჩალხანაო»!....

## რუსეთი

—

— რუსეთული გაზეთები გვატყობინებენ, რომ გამოჩენილი მწერალი გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი სწერს რომანს რუსული ცხოვრებიდგან. მალე დაიბეჭდება იმავე მწერლის თხზულებანი: «რა მწამს მე». ამ წიგნისა მხოლოდ 50 ეგზემპლიარი ეღირება 25 მან.

— ამას წინედ, ნემეცური გაზეთების სიტყვით, კენისბერგში დაჭერილი იყო ერთი რუსის კაპიტანი, რომელსაც ჯაშუშობას სწამებდნენ. ამ ჟამად დატუსაღებული კაპიტანი განთავისუფლებიათ, იუსტიციის მინისტრის თხოვნით, და გამოუგზავნიათ რუსეთის საზღვარზე.

— როგორც რუსულ გაზეთებში ვკითხულობთ, მომავალი წლის ხარჯი ზღვის სამინისტროსათვის აღრიცხულია 39,451,799 მანათი, მაშასადამე, 1883 წლის ხარჯს აღემატება 8,263,215 მანეთით. ეს მომატება ხარჯისა აიხსნება იმითი, რომ აპირობენ ფლოტის გადახალისებას, ზღვის საქმეებში ახალი მოწყობილობის შემოღებას, მინის ხმარების და ზღვის არტილერიის გაუმჯობესებას. გენერალ-ადიუტანტმა შესტაკოვმა, ზღვათა სამინისტროს გამგებელმა, უკვე შეიტანა თავისი აღრიცხვა, სადაც ჯერ არს.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

15 დეკემბერს.

**პეტერბურგი.** ის ხმები, ვითომც უნივერსიტეტის წესდება პირველის იანვრისთვის დამტკიცდება, უდროოდ გავრცელებულნი გამოდგნენ.

---

ლაც ბურუსში, შემომეფანტა; თითქო დატრიალებდენ კიდეც შავ კვამლსავით; ამასთან ისეთს საშინელს დაღალულობას ვგრძნობდი, რომ სრული უიმედობა თითქმის შეღავათად მიმაჩნდა.

— ნახეთ ერთი ამას, რა ფიცრებია, რა ფიცრები! დამტვრეული ხმით წამოიძახა კუბოს მომტანმა. ასეთი კოლოფი გამოვიდა რომ რა!

— მერე რა უშავს? უფრო თავისუფლად არ იქნება შიგ,—დაუმატა მეორემ სიცილით.

მე მძიმე არ ვიყავი და ეს ძლიერ ესიამოვნეთ, რადგანაც მესამე სართულიდამ უნდა ჩაეტანეთ ძირს. იმ დროს, როდესაც მომკიდეს ხელები მხარში და ფეხებში, ზაზენი მეტის-მეტად გაწყრა.

— ეს საძაგელი გოგო,—ყვიროდა იგი,—ყველგან თუ ცხვირი არ შეჰყო, არ იქნება! დამაცა, მე შენ გაჩვენებ, თუ როგორ უნდა ჯუჯუტანებიდგან ცქერა!

დედამ შემოაღო ცოტათი კარი და თავისი აბურძგნული თავი შემოჰყო. უნდოდა დაენახა, როგორ ჩამდებდენ კუბოში. მოისმა ორი სილის ხმა. მას მოჰყვა წივილ-კივილი, და როდესაც დაბრუნდა ბებერი დედა, დაიწყო ლაპარაკი თავის ქალზე იმ კაცებთან, რომელნიც მე კუბოში მდებდენ.

— ის სულ ათი წლისაა, მეტისა არა! კარგი გოგონაც არის, მაგრამ მეტის-მეტი ცნობის მოყვარეა... ყოველ დღე როდი ელახავ!.. რა ვქნა! უნდა გამიგონოს, აბა როგორ იქნება ისე!

— თქვენ კარგად იცით,—სთქვა ერთმა კუბოს გამკეთებელმა,—ყველა ქალები ამ გვარნი არიან... მკვდარი თუ დაინახეს სადმე, ისე ეხვევიან თავს, როგორც ბუზები.

მე გამაწვინეს კარგად, ასე რომ შემეძლო წარმომედგინა, რომ საწოლში ვწევარ, თუ რომ მარცხენა ხელი კუბოს ხის ფიცარზე არა ყოფილიყო მიკრული. როგორც ამბობდენ კუბოს გამკეთებლები, ჩემის დაბალის ტანის გამო სრულიად თავისუფლად ვიწექი.

— მოიცადეთ,—დაიძახა ზაზენმა,—მე დავპირდი მის ცოლს, თავ-ქვეშ ბალიშს დავუდებ-მეთქი. მაგრამ მეკუბოეები ჩქარობდენ და ბრიყვულად ჩამჭედეს კუბოში. ერთი მათგანი გინებით ეძებდა ყველგან ჩაქუჩს. ჩაქუჩი ძირს დავიწყებოდათ და მეტი გზა არ იყო, უნდა ჩასულიყვნენ მისთვის. ბოლოს, დააკრეს კუბოს თავი და მე ვიგრძენი, თუ როგორ შეიძრა მთელი ჩემი სხეული: ჩაქუჩის ორის დაკვრით ჩასჭედეს პირველი ლურსმანი. გათავდა: მე ცოცხლებში აღარ ვარ. მერე ლურსმნები ერთი მეორეზე მსწრაფლად დაჰკრეს ჩაქუჩით, თითქო მუშები გამხმარ ხილეულობით სავსე ზანდუკსა ლურსმავდენ. ამის შემდეგ ხმები მოდიოდენ ჩემამდის ყრუდ; თითქო გრძელდებოდენ და ახირებულად მოისმოდენ. უკანასკნელი სიტყვები, რომელთაც მიიზიდეს ჩემი სმენა ამ ოთახში, დაფინის ქუჩაზე, იყო ზაზენის ფრაზა:

— ფრთხილად ჩადით და ერიდეთ მეორე სართულში: ცოტა არ იყოს, დამტვრეულია.

ამწიეს და წამიღეს; მე ვიგრძენი რწევა, როგორც აღელვებულ ზღვაში. ამის შემდეგ ჩემი მოგონებანი აირ-დაირიენ. მახსოვს მხოლოდ, რომ ერთად-ერთი ჩემი ფიქრი იყო სულელური ცდა, გამეგო, თუ რომელი გზით მივდიოდით სასაფლაოსკენ. მე არ ვიცოდი არც ერთი პარიჟის ქუჩა, არ ვიცოდი დაბეჯითებით, სად არიან უმთავრესი სასაფლაოები, რომელთ სახელები წინად გამეგონა და მიუხედველად ამისა, მთელი ჩემი გონება მასზე იყო მიქცეული, გამეგო მარცხნივ ვუხვევდით გზაზე, თუ მარჯვნივ. დროგები მიხტოდენ ქუჩაზე. ჩემს ირგვლივ კარეტების გრიალი და გამვლელ-გამომვლელის ფეხის ხმა ბადავდა რაღაც ყრუ ხმაურობას, რომელიც ერთი-ორად უფრო ისმოდა კუბოს სახურავის ქვეშ. პირველად მე ბეჯითად ვადევნებდი ყურს ჩვენ გზას. მერე ჩვენ შევჩერდით, მე გადმომიღეს და წამიღ-წამომიღეს აქეთ-იქით, რის გამოც მივხვდი, რომ ჩვენ ეკლესიაში ვიყავით. მაგრამ როდესაც დროგები კვლავ შეინძრენ, მე დავკარგე ყოველი წარმოდგენა იმ ადგილებზე, რომლებზედაც ჩვენ მივდიოდით. ზარების რეკამ მაცნობა, რომ ეკლესიის ახლო გავიარეთ. შემდეგ ბორბლების სხვანაირი ხმაურობით მივხვდი აგრეთვე, რომ მივდიოდით ბაღის ახლო. მე ჩამოვგავდი მძიმე დამნაშავეს, რომელიც სასჯელის ალაგს მიჰყავთ.

გავჩერდით. ჩამომიღეს დროგიდამ და ხელად მოაწყვეს საქმე. ხმაურობა მიწყდა. ვგრძნობდი, რომ მყუდრო ალაგას ვიყავი, ხეებ ქვეშ; ფართო გახსნილი ცის კამარა ზედ დამყურებდა. უთუოდ ვიღაცები მოჰყვებოდენ ჩემს კუბოს: სასტუმროში მცხოვრებნი, სიმონი და სხვები. მე მესმოდა ჩურჩული. მოისმა გალობა, მღვდელმა დაიწყო ბუტბუტი ლათინურად. მხოლოდ ორს წამს ვიყავით ერთს ალაგს გაჩერებული. შემდეგ უეცრად ვიგრძნე, რომ ძირს ჩავდივარ, ბაწრებიც გარბიან აქეთ-იქით კუბოს კიდეებზე, და კუბო სცემს რაღაც ახირებულ ხმას, როგორც მოშლილი კონტრაბასი. ეს იყო დასასრული. საშინელი გრიალი, რომელიც ჩამოგავდა ზარბაზნის ხმას, მოისმა ჩემს მარცხნით, თავთან, მეორე მოისმა ფეხებთან, და მესამე, კიდევ უფრო ძლიერი, ჩემი მუცლის ზევით. უკანასკნელი ისე საშინარი იყო, რომ მეგონა, კუბო შუა გაიპო-მეთქი. მე შემიწუხდა გული და ცნობა დამეკარგა.

ილ. ბ—ხ—ტ—ძ—ე.

(შემდეგი იქნება)

კოსტრომა. დღეს გახსნილმა გუბერნიის სათავად-აზნაურო კრებამ მოისმინა თავ-მჯდომარისაგან გადაცემული სიტყვები ხელმწიფე იმპერატორისა, მიმართულნი მამასახლისებისადმი გვირგვინის კურთხევის დროს, და დაადგინა: გამოუცხადოს ადრესით ხელმწიფე იმპერატორს თვისი ერთგულება და უსაზღვრო მადლობა ესეთის ნდობისა და ყურადღებისათვის თავად-აზნაურობისადმი.

ვარშავა. სავაჭრო ფირმა «კრენი» გაკოტრდა; პასივი 250,000 მანათია.

პარიჟი. «ჰავასის სააგენტო» ამბობს—ჰფიქრობენ, რომ ძენგი ლონდონში ინგლისის მოსამხრობად წავიდა საფრანგეთის წინააღმდეგ, მაგრამ საეჭვოა, რომ ძენგმა მოახერხოს რამე; საფრანგეთს ვერ მოსთხოვენ დაანებოს თავი თავის პროგრამას ტონკინის შესახებ. ამას გარდა, ჩინელების გამოჯავრებითი მოქმედება აძლევს საფრანგეთს უფლებას მოითხოვოს სათავდებო მისგან გაწეული ხარჯისათვის.

სენატმა კვალად დაუწესა ჯამაგირი პარიჟის არხიეპისკოპოზს 45,000 ფრანკი, რომელიც უწინ პალატამ 15,000 ფრანკამდე შეამცირა; ამას გარდა, დააწესა 616,000 ფრანკი სემინარიის სტიპენდიანტებისათვის, რომელიც აგრეთვე უწინ პალატამ მოსპო.

## განცხადებანი

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაი |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 ს. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—77)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25⁰/₀-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფუძვლები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საპნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკოტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—32)

Объ изданiи въ 1884 году газеты

## „КАСПIЙ“

Въ гор. Баку.

(Годъ четвертый)

*Съ 1-го января 1884-го года*

«Каспiй» будетъ выходить ежедневно, кромѣ дней послѣпраздничныхъ.

Подписная цѣна съ пересылкой въ другiе города: на годъ 8 руб. 50 коп.; на полгода 5 руб.; на три мѣсяца 3 руб.; на 1 мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Иногородные обращаются: въ редакцiю газ. «Каспiй» въ Баку.

Редакцiя, по прежнему, будетъ стараться знакомить своихъ подписчиковъ со всѣми новостями мѣстнаго нефтянаго дѣла, а также давать точныя свѣдѣнiя о вывозѣ нефти и ея продуктовъ моремъ и по желѣзной дорогѣ. (3—3)

4,000 თეფში 1-ს სორტისა, ორი მანეთი დუჟინი! დანები ჩანგლებით, ჩაი 1-ი მოკრეფისა, მშვენიერი, 1 მან. 60 კაპ.; ხვედლების განფეტები და მურაბა სხვა-და-სხვა სორტებისა, ესსენცია კაკაოსი, პიკულები, თოფები, რევოლვერები, ფლანგელები და სხ. ბევრი ინგლისის მაღაზიაში, აგრეთვე უოველთვის ინგლისური და ფრანცუზული რკინის კრაოტები და სხვა საქონელი 307. უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (8—3)

## СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

ГАЗЕТА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНIЕ“

подъ редакцiею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»(

Объемъ газеты—печатный листъ средняго формата; программа—общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданiямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленiя (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщенiе редакцiи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—13)

ინგლისის მაღაზიაში



### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—74)

### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სროტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 15 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე 1884 წ.

| | | |
| --- | --- | --- |
| **გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა** — —1 | გირ. | 5 კ. |
| **აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა** — —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — —1 | გ. | 2 კ. |
| **იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:** | | |
| პირველის ხარისხის—1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — —1 | გ. | $2^1/_2$ |
| **ჯვარის-მამის პური:** | | |
| პირველის ხარის. ლავაში 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — —1 | გ. | 3 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის—1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი —1 | გ. | 8 კ. |
| **ღორის ღორცი:** | | |
| პირველის ხარისხის—1 | გ. | 7 კ. |
| მეორის — —1 | გ. | 6 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

*Дозв. ценз. Тифлисъ 16 Декабря 1883 г.* ქ. ხელაძის სტამბა (*Типографiя Е. Хеладзе*). გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.